



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო



მეცხრე მოწვევის პარლამენტის საქმიანობა  
გენდერული თანასწორობის მიმართულებით  
2016-2020 წწ

**კვლევის ხელმძღვანელი**

ლიკა საჯაია

**ნამყვანი მკვლევარი**

თამარ ტატანაშვილი

კვლევა მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida)  
ფინანსური მხარდაჭერით



Sweden/შვედეთი

**Sverige**

# საჩივრი

შესავალი	4
თავი 1. ძირითადი მიგნებები	5
თავი 2. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციები და განხორციელებული აქტივობები	6
თავი 3. გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო საქმიანობა	8
3.1 მიღებული ინიციატივები	8
3.2 ინიციატივები, რომლებსაც პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა	11
3.3 საკანონმდებლო ინიციატივების გენდერული ანალიზი	12
თავი 4. საპარლამენტო კონტროლის განხორციელება	13
4.1 ანგარიშების მოსმენა	13
4.2 თემატური მოკვლევის ჯგუფები	13
თავი 5. შეფასება და რეკომენდაციები	14

# შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს საპარლამენტო მონიტორინგის პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი კვლევა მოიცავს IX მოწვევის პარლამენტის მიერ (საანგარიშო პერიოდი: 2017 წლის 5 იანვარი -2020 წლის 30 სექტემბერი) გენდერული თანასწორობის მიმართულებით, განხორციელებულ საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებულია პარლამენტის აქტივობები საკანონმდებლო და კონტროლის განხორციელების მხრივ.

კვლევა ეფუძნება როგორც პარლამენტიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას, ისე პარლამენტის ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ნორმატიული კვლევის მეთოდი, რომლის შესაბამისადაც შესწავლილია ბოლო პერიოდში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები გენდერული თანასწორობის მიმართულებით. აგრეთვე წარმოდგენილია, ჩვენი ორგანიზაციის დაკვეთით, საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები.<sup>1</sup>

---

1 საველესამუშაოების თარიღები: 27 თებერვალი – 18 მარტი, 2020 წ.; გამოკითხვა წარმომადგენლობითია: საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის (18 წლის და ზევით), გარდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული არეალებისა და ოკუპირებული ტერიტორიებისა. გამოკითხული ადამიანების რაოდენობა - 1763 რესპონდენტი. საშუალო ცდომილება - 2.2%.

# თავი 1. ძირითადი მიზნები

IX მოწვევის პარლამენტი, წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით, აქტიურად მუშაობდა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ქალთა უფლებრივი გაძლიერების მიმართულებით.

## პოზიტიურად უნდა შეფასდეს შემდეგი ინიციატივები:

- კონსტიტუციაში განისაზღვრა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად;
- პარლამენტმა მოახდინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირება, რომლის შესაბამისად, კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით;
- პარლამენტმა მხარი დაუჭირა ისეთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, როგორებიცაა: *გენდერული კვოტირება, სექსუალური შევიწროების დასჯადობა, მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება, ადევნებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება;*
- საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიმართულებით პოზიტიურად უნდა შეფასდეს საბჭოს მიერ შექმნილი *თემატური მოკვლევების ჯგუფების საქმიანობა.*

## გამონწვევას წარმოადგენდა:

- გეგმით განსაზღვრულ ვადაში, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მიღებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელების საკითხი, როგორებიცაა კანონმდებლობის გენდერული ანალიზი და ბიუჯეტის გენდერული ანალიზი;
- ანგარიშვალდებულების მიმართულებით პრობლემური იყო პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ საქმიანობის ანგარიშების წარდგენის საკითხი;
- კონტროლის განხორციელების მიმართულებით პრობლემური იყო საბჭოს მიერ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშების წარდგენისა და ანგარიშვალდებული პირების მოსმენის საკითხები.

## თავი 2. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციები და განხორციელებული აქტივობები

გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტში შექმნილი მუდმივმოქმედი ორგანოა, რომლის საქმიანობა მნიშვნელოვანია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პროცესის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით.

IX მოწვევის პარლამენტში საბჭო შეიქმნა 2017 წლის 5 იანვარს. უმრავლესობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2019 წლის 18 ნოემბერს, საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა თამარ ჩუგოშვილმა და მას შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე არ ჰყოლია. გენდერული საბჭოს წევრები იყვნენ:

	<b>თამარ ჩუგოშვილი</b> დამოუკიდებელი წევრი
	<b>ეკა გოსალია</b> დამოუკიდებელი წევრი
	<b>თინათინ ბოკუჩავა</b> ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“
	<b>ნათუნა გოგორიშვილი</b> ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“
	<b>ნინო გოგუაძე</b> დამოუკიდებელი წევრი
	<b>ნატი იონათაშიშვილი</b> ფრაქცია „ქართული ოცნება“
	<b>სოფიო კიკლაძე</b> ფრაქცია „ქართული ოცნება“
	<b>აღა მაჩხანია</b> ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატები“
	<b>გუჯლი მალიაძე</b> ფრაქცია „ქართული ოცნება“
	<b>ეპქელა მაჰავანიანი</b> ფრაქცია „ქართული ოცნება“
	<b>გიორგი ტალუაშვილი</b> ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“
	<b>ნინე ჯურბიძე</b> დამოუკიდებელი წევრი
	<b>ედიტა შახიშვილი</b> დამოუკიდებელი წევრი



**ნინო ნინოსანი**

ფრაქცია „ქართული ოცნება“



**ჯენე ხოშთანი**

ფრაქცია „ევროპული საქართველო“



**თამარ ხალონაძე**

დამოუკიდებელი წევრი



**მანია ჯაში**

ფრაქცია „ჩვენი საქართველო - დამოუკიდებელი დეპუტატები“<sup>2</sup>

საანგარიშო პერიოდში საბჭო 8-ჯერ შეიკრიბა. აღნიშნული შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენდა საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება.<sup>3</sup>

საანგარიშო პერიოდში საბჭომ მიიღო 2017 წლისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმები. რაც შეეხება მათი შესრულების ანგარიშს, საბჭომ წარადგინა 2017 და 2018 წლების საქმიანობის ანგარიშები.<sup>4</sup> ასევე, გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში, საქართველოს მთავრობისთვის შემუშავდა [რეკომენდაციები](#), რომლებიც მოიცავდნენ, ერთის მხრივ, COVID-19-ის პანდემიის პირობებში გენდერული თანასწორობის მენისტრიმინგის, ქალთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებისა და ეკონომიკური დოვლათის შექმნაში მათი ჩართულობის მაქსიმალურად უზრუნველყოფისა და მეორეს მხრივ, ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში საბჭომ 4 განცხადება გაავრცელა გახმაურებულ შემთხვევებთან დაკავშირებით.<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებზე, საბჭომ, საჯარო განცხადება მხოლოდ საზოგადოების პროტესტისა და ზეწოლის შემდეგ გააკეთა. 2019 წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, საზოგადოებრივად აქტიური ქალების შანტაჟისა და დაშინების მცდელობის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, რაზეც გენდერული თანასწორობის საბჭოს საჯარო განცხადება არ გავრცელებია.<sup>6</sup>

2 დეპუტატების კუთვნილებები მოცემულია 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.

3 ვრცლად იხ. ჩვენი ანგარიშები: გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება (2018 წლის 29 ივლისი - 2019 წლის 31 ივლისი), 2019, <https://bit.ly/3jdlhSu> ; გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება (2017 წლის იანვარი - 2018 წლის ივლისი), 2018, <https://bit.ly/2T9t8XB> .

4 სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ დეტალურად იხ. ჩვენი ანგარიშები: გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება (2018 წლის 29 ივლისი - 2019 წლის 31 ივლისი), 2019, <https://bit.ly/3jdlhSu> ; გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება (2017 წლის იანვარი - 2018 წლის ივლისი), 2018, <https://bit.ly/2T9t8XB> .

5 განცხადება ლექტორის მხრიდან სტუდენტის სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით (2019 წ. 28 მაისი) <https://bit.ly/34tG69d> ; განცხადება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით (2019 წ. 31 იანვარი) <https://bit.ly/3mopllP> ; საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის განცხადება ოჯახში ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით <https://bit.ly/3kGR0mg> ; საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის განცხადება გაერო-ში საქართველოს ახალგაზრდობის ყოფილი წარმომადგენლის მიმართ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ძალადობრივ განცხადებებთან დაკავშირებით <https://bit.ly/3e1cLG7> .

6 ვრცლად იხ. რა გამოწვევების წინაშე დგას საზოგადოებრივად აქტიური ქალი საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2019წ. 05 ნოემბერი., <https://bit.ly/2HyQ0h3>

# თავი 3. გენდერული თანასწორობის მიზანშეწონილი განხორციელებული საკანონმდებლო საქმიანობა

## 3.1 მიღებული ინიციატივები

### 3.1.1 საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილება

კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილების შედეგად დაემატა ახალი ნორმა, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.<sup>7</sup> სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული საკითხის უკვე ვალდებულების სახით განსაზღვრა ცალსახად პოზიტიურ ცვლილებას წარმოადგენს.

### 3.1.2 გენდერული კვლევა

2020 წელს, საარჩევნო კოდექსში, პარლამენტმა შეიტანა **ცვლილება** გენდერული კვლევების შესახებ, კერძოდ, პარტიულ საარჩევნო სიაში ყოველი მეოთხე კანდიდატი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. აღნიშნული რეგულაცია ვრცელდება 2020-ის, 2024-ის და ამ წლებს შორის დანიშნულ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე. პარლამენტის 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და მომდევნო, 2032 წლამდე ჩასატარებელი რიგგარეშე (თუ ასეთი იქნება) საპარლამენტო არჩევნებისათვის, პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

გენდერული კვლევა არაერთხელ გახდა IX მოწვევის პარლამენტში დისკუსიის საგანი, მასთან დაკავშირებით მოქალაქეთა პეტიციაც იქნა წარდგენილი, თუმცა 2020 წლამდე მას არ ჰქონდა მხარდაჭერა.

გენდერული კვლევების შემოღებას ჰყავდა მონინააღმდეგეებიც არასაპარლამენტო ოპოზიციიდან,<sup>8</sup> რომლებმაც აღნიშნული ინიციატივა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს. სასამართლომ კაცებთან მიმართებით კვლევა (პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი მაინც უნდა იყოს მამაკაცი) არაკონსტიტუციურად ცნო, ხოლო ქალებთან მიმართებით, კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია.

### 3.1.3 ქალთა მიმართ მოძალადეობა ელექტრონული საშუალებებით ზედამხედველობა

არსებული ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, 2019 წელს, სულ 10266 შემაკავებელი ორდერი გამოიცა, ხოლო 2018 წელს - 7646. წლების მიხედვით ეს მონაცემები მზარდია.<sup>9</sup> შესაბამისად, ეფექტური ღონისძიებების განხორციელება ყოველთვის დგას დღის წესრიგში. IX მოწვევის პარლამენტმა მხარი დაუჭირა მთავრობის ინიციატივას, რომლის მიზანს წარმოადგენდა ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ გამოყენებული შემზღუდავი ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდა, მსხვერპლთა დაცულობის ამაღლება და ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრება.

მიღებული კანონის თანახმად:

- მოძალადეზე, მსხვერპლის ან მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობით, დასაშვებია ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება;

7 საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი, <https://goo.gl/EtVMfB>

8 ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “ახალი პოლიტიკური ცენტრი”, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

9 დეტალურად იხ. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, შსს, <https://info.police.ge/page?id=102>



- ელექტრონული ზედამხედველობის ოქმით გათვალისწინებული მოძალადისთვის აკრძალული ადგილების გარდა, ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე მოძალადისა და მსხვერპლის შემთხვევითი მიახლოებისას სსიპ „112“-ის მოსამსახურე უფლებამოსილია დაუკავშირდეს მსხვერპლს/ მოძალადეს და მოსთხოვოს ტერიტორიის დატოვება, მათი შემთხვევითი შეხვედრის თავიდან აცილების მიზნით;
- მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისათვის განზრახ თავის არიდება ან ელექტრონული საშუალების ექსპლუატაციის წესის დარღვევისთვის განმეორებით მიღებული გაფრთხილების შეუსრულებლობა ისჯება და იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;
- გაიზარდა დამცავი ორდერის ვადა - 6 თვის ნაცვლად დამცავი ორდერის გამოცემა დასაშვები გახდა 9 თვემდე ვადით.<sup>10</sup>

### 3.1.4 საქსუალური შვიწროება

2019 წლის თებერვალში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა პარლამენტს წარუდგინეს ინიციატივა სექსუალური შვიწროების შესახებ. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად:


- შემოღებულ იქნა სექსუალური შვიწროების განმარტება, რაც გულისხმობს პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს;
- ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსში დადგინდა პასუხისმგებლობა საჯარო სივრცეში სექსუალური შვიწროებისთვის;
- სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს მის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულება, თუ იურიდიულმა პირმა და კერძო სამართლის სხვა სუბიექტებმა არ გაიზიარეს ან არ უპასუხეს მის რეკომენდაციას. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, კერძო სამართლის სხვა სუბიექტებს განესაზღვრათ ვალდებულება, შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი და სხვა მასალა მიაწოდონ სახალხო დამცველს;
- გაიზარდა სასამართლოში მიმართვის ვადაც, კერძოდ, ამ საკითხზე სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 1 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია.<sup>11</sup>

IX მონვევის პარლამენტში, სექსუალური შვიწროების საკითხი არაერთხელ გახდა მსჯელობის საგანი. მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას.

საინტერესოა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები ქალთა ჩაგვრისა და შვიწროების საკითხთან მიმართებით. გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ აღნიშნულს ძალიან ხშირად აქვს ადგილი ოჯახში.

<sup>10</sup> ვრცლად იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „ქალთა მიმართ მოძალადეებს ელექტრონული სამაჯურით გაუწევინ ზედამხედველობას“, 13.12. 19, <https://bit.ly/3kitsiH>

<sup>11</sup> ვრცლად იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „სექსუალური შვიწროება დასჯადი ხდება“, 19.02.19, <https://bit.ly/3iAyTl6>



### 3.1.5 სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებიდან გამომდინარე სვლილებები

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს [კონვენცია](#) (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“) მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტია ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. იგი ითვალისწინებს სახელმწიფოთა ვალდებულებებს, უზრუნველყონ ოჯახში და ზოგადად, ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენცია და ებრძოლონ კონკრეტულ დანაშაულებს. საქართველოს მხრიდან კონვენციის რატიფიცირება ცალსახად პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენდა.

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებას თან სდევდა მოქმედ კანონებში ცვლილებების განხორციელება. კერძოდ, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეიცვალა კანონის მოქმედების სფერო და იგი მოიცავს არა მარტო ოჯახის ფარგლებს, არამედ, ზოგადად, ქალის მიმართ გამოვლენილ ძალადობას.<sup>12</sup> სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა. მათ შორის:

- განისაზღვრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იძულებითი სტერილიზაციისათვის;
- განხორციელდა ქალის გენიტალიების დასახიჩრების კრიმინალიზაცია;
- განისაზღვრა ადევნებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;
- გაუქმდა შემაკავებელი ორდერის ძალაში შესვლისთვის 24 საათში სასამართლოში წარდგენის ვალდებულება და პოლიციის თანამშრომელი ფაქტზე რეაგირებისას გამოსცემს ორდერს, რომელიც დაუყოვნებლივ შედის ძალაში;

<sup>12</sup> ვრცლად ჩვენი შეფასება იხ. საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შეფასება (2016 წლის 18 ნოემბერი - 2017 წლის 31 დეკემბერი), „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2018, გვ. 24 <https://bit.ly/2ID3dWb>

- დანაშაულებისათვის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი;
- გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

### 3.1.6 მამების შვებულება ბავშვის მოვლის გამო

გენდერული თანასწორობის დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა შრომის კოდექსში, მამებისათვის ბავშვის მოვლის გამო შვებულების უფლების მინიჭების თაობაზე. კერძოდ, შრომის კოდექსის ძველი რედაქციით, მხოლოდ დედა იყო უფლებამოსილი ესარგებლა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისათვის განსაზღვრული ანაზღაურებადი შვებულებით, მიღებული კანონით კი, მშობიარობის შვებულება გამიჯნულია ბავშვის მოვლის შვებულებისგან.<sup>13</sup> შესაბამისად, მამას ენიჭება უფლება, ისარგებლოს ბავშვის მოვლისათვის დანესებული შვებულებით.

### 3.1.7 იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაუარყოფა მსხვერპლთა დასაცავად

„იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებამ გააუმჯობესა ძალადობის მსხვერპლ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა. პარლამენტმა მხარი დაუჭირა „იურიდიული დახმარების შესახებ“ და „ადვოკატთა შესახებ“ კანონებში ცვლილებების ინიციატივას. ცვლილებების შედეგად გაფართოვდა იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად, კანონით გათვალისწინებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

### 3.1.8 პროვნიციული რეზიდენციის პროცედურების შესახებ ინიციატივა

პარლამენტმა მხარი დაუჭირა გენდერული საბჭოს წევრების ინიციატივას „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი მთავრობის მხრიდან ეროვნული რეფერალური<sup>14</sup> პროცედურების შესახებ დადგენილების მიღებისათვის. ოჯახში ძალადობის საკითხებთან ერთად, საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოში მოექცა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებიც.

## 3.2 ინიციატივები, რომლებსაც პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა

საანგარიშო პერიოდში პარლამენტს არაერთი პეტიცია წარედგინა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის მიმართულებით, მათ შორის: გენდერულ კვოტირებაზე 30 000 ამომრჩევლის ინიციატივა, პეტიცია სექსუალური შევიწროების შესახებ - თუმცა მათი მხარდაჭერა არ მოხდა. მიუხედავად ამისა, პეტიციაში დაყენებული საკითხები მოგვიანებით მაინც აისახა კანონმდებლობაში.<sup>15</sup>

პარლამენტში წარდგენილი ინიციატივები ეხებოდა შემდეგ საკითხებს: სექსუალური შევიწროება, გენდერული კვოტირება, [ფემიციდის კრიმინალიზება](#). ამ უკანასკნელის გარდა, პარლამენტმა სხვა

13 ვრცლად იხ. საკანონმდებლო პაკეტი შრომის კოდექსსა და თანმდევ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე <https://bit.ly/3kyax3q>

14 ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერალური პროცედურები განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა შესაბამისი სუბიექტების დროული, კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის საკითხებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პირველად იდენტიფიკაციასთან, გამოვლენასთან, მათ დაცვასთან, დახმარებასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

15 ვრცლად იხ. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება (2017 წლის იანვარი - 2018 წლის ივლისი), 2018, გვ. 15-16, <https://bit.ly/3dFCLa1>

კანონები მიიღო. გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით 30 000 მოქალაქის საკანონმდებლო ინიციატივა, უკვე მიღებული კანონისგან განსხვავებით, ითვალისწინებდა საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიების ვალდებულებას, პარტიულ სიაში, ყოველი მეორე, განსხვავებული სქესის კანდიდატი წარედგინათ.<sup>16</sup>

გარდა აღნიშნულისა, ქალთა უფლებების ჭრილში, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ IX მოწვევის პარლამენტის საქმიანობის დასასრულს, პარლამენტის დამოუკიდებელმა წევრმა - ალექსანდრე ერქვანიამ, დააინიცირა [კანონპროექტი](#) ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონში ცვლილების თაობაზე, რომლის თანახმად, ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუკი ორსულობის გაგრძელება საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს. მოქმედი რეგულაციით კი, დასაშვებია 12 კვირამდე ორსულობის შეწყვეტა. ინიციატივა ნეგატიურად უნდა შეფასდეს ქალთა უფლებრივ ჭრილში, მით უფრო, რომ ასეთ ინიციატივებზე მუშაობის დროს მიზანშეწონილია გენდერული საბჭოს ფორმატში მსჯელობა.

### 3.3 საკანონმდებლო ინიციატივების გენდერული ანალიზი

2017 წლის მანძილზე, საპილოტე პროგრამის ფარგლებში, გენდერული გავლენის ანალიზი 2 კანონპროექტზე ჩატარდა: ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებულ კანონპროექტსა და შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებზე.<sup>17</sup> მომდევნო პერიოდში, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო კანონპროექტების გენდერული ანალიზის განხორციელება კომიტეტების დონეზე, რაც ასევე არასრულად შესრულდა, 2018 წლის 29 ივლისიდან 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდში მხოლოდ 5-მა კომიტეტმა შეასრულა აღნიშნული ვალდებულება.<sup>18</sup>

2019 წლის დეკემბერში საბიუჯეტო ოფისმა მოამზადა 2019-2020 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელება გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენდა.

16 ვრცლად იხ. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება (2017 წლის იანვარი - 2018 წლის ივლისი) „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, გვ. 15, <https://bit.ly/3juBzaB>

17 2017 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა გენდერულ თანასწორობასთან და ქალთა უფლებებთან დაკავშირებული 5 საკანონმდებლო წინადადების ან ინიციატივის საპილოტე გენდერული ანალიზის განხორციელებას.

18 ვრცლად იხ. „გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2019, გვ. 13 <https://bit.ly/3kfEi9g>

# თავი 4. საპარლამენტო კონსტიტუციის განხორციელება

## 4.1 ანგარიშების მოსმენა

გენდერული საბჭოს უფლებამოსილებას წარმოადგენს:

- აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობა;
- საჭიროების შემთხვევაში, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა დაბარება საქართველოს პარლამენტში და მათგან ინფორმაციის მიღება.

საანგარიშო პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან შემდეგი ინფორმაცია/ანგარიში მოისმინეს:

- 2017 წლის 13 ივნისს საბჭომ მოისმინა ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების - „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელების მდგომარეობის შესახებ;
- 2017 წლის 13 ივნისს, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა #1325 რეზოლუციის შუალედური ანგარიში 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ. ანგარიში წარადგინა მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსმა;
- 2018 წლის აპრილში გამართულ სხდომაზე საბჭომ მოისმინა შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ანგარიში ფემიციდის და ძალადობის შემთხვევების პრევენციის თაობაზე;
- 2019 წლის 17-18 იანვრის სხდომის ფარგლებში საბჭომ მოუსმინა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს, სოფო ჯაფარიძეს, რომელმაც უწყებათაშორისი კომისიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა.

საბჭოს არცერთ საკითხთან დაკავშირებით არ განუხორციელებია წარდგენილი ანგარიშების შეფასება/რეკომენდაციის გაცემა.

## 4.2 თემატური მოკვლევის ზეფუები

პარლამენტის ახალი რეგლამენტი, საზედამხედველო ფუნქციის თვალსაზრისით, საბჭოს მიერ თემატური მოკვლევის ჯგუფების შექმნის შესაძლებლობას ითვალისწინებს. საანგარიშო პერიოდში, ახალი რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით 2 თემატური მოკვლევის ჯგუფი შეიქმნა შემდეგ თემებზე:

- სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის.<sup>19</sup>

2019 წლის 2 ოქტომბერს საბჭომ თემატური მოკვლევის ჯგუფების რეკომენდაციები [გაუზიარა](#) ადრესატ სამინისტროებს. კვლევის პერიოდისათვის, ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კონკრეტული შედეგები არ დამდგარა.


<sup>19</sup> დეტალურად თემატური მოკვლევის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით იხ. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება (2018 წლის 29 ივლისი - 2019 წლის 31 ივლისი), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, გვ. 16, <https://bit.ly/3dl91sZ>

## თავი 5. შეფასება და რეკომენდაციები

წინა მონვევის პარლამენტთან შედარებით, IX მონვევის საქმიანობა, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით გაუმჯობესებული იყო.

ჩვენ დავინტერესდით საზოგადოების აზრით, თუ როგორ შეიცვალა ვითარება ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით 2016 წლის შემდეგ. გამოკითხულთა 35%-ს მიაჩნია, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა, ხოლო 34% სიტუაციას გაუმჯობესებულად მიიჩნევს.

დიაგრამა 2. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგი 2016 წლის შემდეგ ქალთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ სიტუაციაზე:



4 წლის განმავლობაში გამოიკვეთა როგორც პოზიტიური ტენდენციები, ისე გამოწვევები, შესაბამისად, წარმოგიდგინებ რეკომენდაციებს X მონვევის პარლამენტისთვის, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისა და გენდერული საბჭოს საქმიანობის მიმართულებით, რომლებიც, მიზანშეწონილია, პარლამენტმა გაითვალისწინოს.

კანონშემოქმედებითი პროცესი:

- კანონმდებლობაში გენდერული საბჭოს ვალდებულებად უნდა განისაზღვროს ანალიზის განხორციელება კანონმდებლობის გენდერული ზეგავლენის მიმართულებით. ამასთან ერთად, მიზანშეწონილია, საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება, რათა მან სრულფასოვნად შეძლოს მნიშვნელოვანი კანონპროექტების/რეფორმების ანალიზი; გარდა ამისა, თუკი კომიტეტებთან თანამშრომლობის ფორმატი შენარჩუნდება, ინიციატივების გენდერული ანალიზის განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ ამ ვალდებულებას ყველა კომიტეტი ასრულებდეს;

- პარლამენტის რეგლამენტში განმარტებითი ბარათის ერთ-ერთ კომპონენტად უნდა განისაზღვროს გენდერულ თანასწორობაზე ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მიზანშეწონილია, რომ საბჭომ კომიტეტების მიერ კანონპროექტებზე განხორციელებული გენდერული ზეგავლენის ანალიზის შესახებ პერიოდული ინფორმაცია პარლამენტის ვებ-გვერდზეც გამოაქვეყნოს;
- ბიუჯეტის პროექტის გენდერული ანალიზი ყოველწლიურად, დროულად, უნდა ხორციელდებოდეს;
- კანონშემოქმედებითი თვალსაზრისით, კერძოდ, ფემიციდთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ საბჭო უფრო აქტიურად დაინტერესდეს ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებით და ზედამხედველობის ფარგლებში გადადგას ეფექტური ნაბიჯები, მათ შორის, შემუშავდეს შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც, სისხლის სამართლის კოდექსში, ფემიციდს სპეციალური ნორმით დაარეგულირებს.

რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით:

- საბჭომ უნდა გააძლიეროს აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობა, დაიბაროს უფლებამოსილი პირები სხდომებზე, გასცეს რეკომენდაციები და აკონტროლოს მათი შესრულება;
- საბჭო რეგულარულად უნდა იღებდეს ინფორმაციას და აანალიზებდეს მუნიციპალიტეტების დონეზე არსებულ გამოწვევებს საკანონმდებლო ცვლილებებსა და სისტემურ პრობლემებთან დაკავშირებით;
- საბჭომ პარლამენტს უნდა წარუდგინოს პერიოდული ანგარიშები მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- საბჭომ პერიოდულად უნდა წარუდგინოს პარლამენტს გენდერული თანასწორობის სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია და მონიტორინგის შედეგები;
- საბჭო მეტად უნდა გააქტიურდეს განცხადებებისა და სპეციალური ანგარიშების გამოქვეყნების მიმართულებით;
- გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმაში ყველა ინდიკატორთან მიმართებით უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული შესრულების პერიოდი.